საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, არ. ცაბარელის ქ. №92-ში,
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის
კონსტრუქციული ნაწილის განხორციელების შესახებ

გამოსაკვლევი უბანი ხასიათდება შემდეგი ტექნიკურ-მექანიკური მაჩვენებლებით:

- საანგარიშო სეისმურობა - 8 ბალი;
- ქარის ნორმატიული დატვირთვა – 48 კგ/მ^2;
- თოვლის ნორმატიული დატვირთვა – 50 კგ/მ^2.

დამკვეთის მიერ წარმოდგენილია საპროექტო შენობის არქიტექტურული ნაწილი /ესკიზური პროექტი/ და სამშენებლო მოედნის საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ტექნიკური გაანაგარიშება.

ობიექტის შესწავლისა და კვლევის პროცესში გამოყენებულია საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს მიერ 1992 წელს გამოცემული „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია.

მათი მოთხოვნების მიხედვით ჩამოყალიბდა სამუშაოს შემდეგი მეთოდიკა და ამოცანები:

1) სამშენებლო მოედნის ვიზუალური დათვალიერება და მისი მოსაზღვრე ნაგებობების ტექნიკური გამოკვლევა;
2) დასკვნები და რეკომენდაციები საპროექტო შენობის დაფუძნებასთან დაკავშირებით.

1. სამშენებლო მოედნის ვიზუალური დათვალიერება და მისი მოსაზღვრე ნაგებობების ტექნიკური გამოკვლევა

სამშენებლო მოედანს ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ესაზღვრება არ. ცაგარელისა და ბურძგლას ქუჩები, აღმოსავლეთიდან - ორსართულიანი ახლადაშენებული საცხოვრებელი სახლი, დასავლეთიდან – ორსართულიანი შენობა, რომელიც აშენდა გასული საუკუნის 90-იან წლებში და ამჟამადაც ფუნქციონირებს, როგორც საბავშვო ბაღი.

ვიზუალური დათვალიერების შედეგად ირკვევა, რომ სამშენებლო მოედნის აღმოსავლეთით მოსაზღვრე ორსართულიანი შენობა კარგ მდგომარეობაშია და ბზარები ან შენობის ჯდენის ნიშნები არ შეინიშნება.

სამშენებლო მოედნის დასავლეთით მოსაზღვრე ორსართულიანი შენობა, რომელშიც ამჟამად ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი, ძლიერ დაზიანებულია. ვიზუალური დათვალიერებით შეინიშნება სხვადასხვა განვრცობის დეფორმაციული ბზარები.

2. დასკვნები და რეკომენდაციები მრავალბინიანი საპროექტო შენობის დაფუძნებასთან დაკავშირებით

დამკვეთის მიერ წარმოდგენილი სამშენებლო მოედნის საინჟინრო გეოლოგიური კვლევის დასკვნების თანახმად, სამშნებლო უბანი დამაკმაყოფილებელ პირობებშია, ვინაიდან ადგილზე არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები აქ არ აღინიშნება და არც მომავალშია მოსალოდნელი.

ქვაბულის დამუშავებისას შესაძლებელია ნაპრალოვანი წყლების გამოჩენა.

ამ შემთხვევისათვის უნდა დამუშავდეს დრენაჟის პროექტი და გრუნტის წყალი მოშორდეს შენობის საძირკვლებს.

დამკვეთის მიერ წარმოდგენილი ესკიზური პროექტის მიხედვით, საპროექტო შენობის საძირკვლის ძირის ნიშნული უფრო დაბლა იქნება, ვიდრე სამშენებლო მოედნის მოსაზღვრე ორსართულიანი შენობების საძირკვლებისა.

ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა მოხდეს არსებული შენობების საძირკვლის ქვეშა ბეტონირება, რათა მოსაზღვრე შენობების საძირკვლები არ დარჩეს ზემოთ, ვიდრე საპროექტო შენობისა.

ქვაბულის დამუშავების პროცესში, დაზიანებული შენობის შემდგომი დაზიანების პროცესების განვითარების თავიდან ასაცილებლად საჭირო იქნება მოსაზღვრე კედლის გამაგრების პროექტის დამუშავება.

ამდენად, ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის საფუძველზე, არ. ცაგარელის ქ. №92-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტირებას ეძლევა დადებითი რეკომენდაცია.

შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი“-ს
დირექტორი ბ. მჭედლიანაშვილი

ექსპერტი-კონსტრუქტორი ვ. ცეტლაიშვილი

06.03.2014